

ცივილი ომში

ქალაქ თელავის
N5 საჯარო
სკოლის
ისტორიის
მასწავლებელი:
მზია მაისურაძე

ცივი ომი



მწვავე პოლიტიკური
და იდეოლოგიური
დაპირისპირება, ერთი
მხრივ, აშშ-სა და
დასავლეთის სხვა წამყვან
სახელმწიფოებს, ხოლო,
მეორე მხრივ, ყოფილ
საბჭოთა კავშირსა და მის
სატელიტებს შორის.

1946-1991

ცივი ომი დაიწყო მეორე
მსოფლიო ომის დამთავრების
შემდეგ და გრძელდებოდა
90-იანი წლების
დასაწყისამდე

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ საბჭოთა კავშირმა დაიკავა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები:

აღმოსავლეთ გერმანია

პოლონეთი

რუმინეთი

ბულგარეთი

უნგრეთი

ალბანეთი

ჩეხოსლოვაკია



„ცივი ომის“ დასაწყისი

1946 წლის 5 მარტი
უინსტონ ჩერჩილის სიტყვა
ფულტონში




(აშშ, მისურის შტატი)

ჩერჩილმა პირველად ახსენა
„რკინის ფარდა“, რომელიც
საბჭოთა კავშირმა ჩამოუშვა
შუა ევროპაში.

„ფულტონის სიტყვა“
მიჩნეულია „ცივი ომის“
თავისებურ გამოცხადებად.

ტერმინი რკინის ფარდა პირველად გამოიყენა იოზეფ გებელსმა (გერმანელი სახელმწიფო მოღვაწე, პუბლიცისტი, გერმანული ლიტერატურის და ფილოსოფიის დოქტორი), საყოველთაოდ პოპულარული გახდა უინსტონ ჩერჩილმა.

ჩერჩილმა იგულისხმა საზღვარი, რომელიც სიმბოლურად, იდეოლოგიურად და ფიზიკურად ჰყოფდა ევროპას ორ ნაწილად მეორე მსოფლიო ომის დასასრულიდან ცივი ომის დამთავრებამდე.



ტრუმენის დოქტრინა

1947 წლის 12 მარტს კონგრესში სიტყვით გამოსვლისას აშშ-ს პრეზიდენტმა ტრუმენმა ჩამოაყალიბა აშშ-ს ახალი საგარეო პოლიტიკური დოქტრინა, რომელიც ცნობილია „შეკავების დოქტრინის“ სახელით და გულისხმობს მთელ მსოფლიოში თავისუფალი ერებისთვის ეკონომიკურ და სამხედრო დახმარებას დამოუკიდებლობის შენარჩუნებისა და ტოტალიტარული რეჟიმების გავრცელების თავიდან ასაცილებლად. სწორედ აშშ-მ უნდა დაიცვას მსოფლიო „კომუნისტური საფრთხისგან“.



ტრუმენის დოქტრინა იყო პირველი ნაბიჯი, რომელიც შეკავების პოლიტიკის კუთხით გადაიდგა, მას მოჰყვა ეკონომიკური და სამხედრო ინსტრუმენტების ამოქმედება, რისი განხორციელებაც მარშალის გეგმითა და ჩრდილო-ატლანტიკური კავშირის შექმნით გახდა შესაძლებელი.



1948 წლის აპრილში 17-მა დასავლეთ ევროპულმა ქვეყანამ, მათ შორის, დასავლეთ გერმანიამ, ხელი მოაწერა „მარშალის გეგმას“. ამერიკამ ევროპის ქვეყნებს გაუწია ეკონომიკური დახმარება, რამაც მათი სწრაფი აღორძინება გამოიწვია.

სტალინმა უარი განაცხადა ამ პროგრამაში მონაწილეობაზე და არც აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს მისცა ამის საშუალება. მარშალის გეგმას არ მიუერთდნენ ფრანკისტული ესპანეთი, ფინეთი. საბენძნეთმა მიიღო აშშ-სგან დახმარება, მაგრამ უარი თქვა აშშ-სგან რეკომენდირებულ პოლიტიკურ რეფორმებზე.

გახლეჩილი ევროპა

„ცივი ომის“ პერიოდში კაპიტალისტური და სოციალისტური სამყაროს გამყოფ სიმბოლოდ იქცა ბერლინის კედელი, რომელიც აიგო ნიკიტა ხრუშჩოვის ბრძანებით 1961 წელს.




„ცივი ომის“ პერიოდში
წარმოიქმნა ორი სახელმწიფო:

გერმანიის ფედერაციული
რესპუბლიკა და გერმანიის
დემოკრატიული
რესპუბლიკა.

„ორპოლუსიანი მსოფლიო“

„მარშალის გეგმამ“ საბოლოო
ხაზი გაავლო „ცივი
ომის“ ფრონტზე.

მსოფლიო აღმოჩნდა ორ
ბანაკად გაყოფილი:
კაპიტალისტურ სამყაროს
სათავეში ედგა აშშ,
სოციალისტურ ბანაკს კი - კი
საბჭოთა კავშირი.



„ცივი ომის” პირობებში მსოფლიოს დაყოფა ორ მტრულ ბანაკად აღინიშნა სამხედრო ბლოკების შექმნითაც.

ნატო

ჩრდილო ატლანტიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია

შეიქმნა 1949 წლის 4 აპრილს აშშ-ს მეთაურობით ვაშინგტონში. მისი მიზანი იყო საბჭოთა კავშირიდან მომავალი სამხედრო საფრთხის მოგერიება ერთიანი ძალებით. ნატოს შტაბბინა მდებარეობს ბრიუსელში.

„ვარშავის პაქტი”

1955 წელს საბჭოთა კავშირმა ჩამოაყალიბა თავისი სამხედრო ბლოკი, „ვარშავის პაქტი”, რომლის შტაბბინა მოსკოვში იყო. „ვარშავის პაქტს” ხელი მოაწერეს პოლონეთმა, ჩეხოსლოვაკიამ, რუმინეთმა, ბულგარეთმა, უნგრეთმა, გდრ-მა, ალბანეთმა და სსრკ-მ. „ვარშავის პაქტი” საბჭოთა ბატონობის იარაღი გახდა.

ნატოს გაფართოება



XX საუკუნის 90-იან წლებში ერთმანეთის მიყოლებით დაემხო სოციალისტური რეჟიმები ჩეხოსლოვაკიაში, პოლონეთში, ბულგარეთში, უნგრეთში, ალბანეთსა და რუმინეთში, მოხდა გერმანიის გაერთიანება. ვარშავის პაქტიდან გამოვიდა ყველა სოციალისტური რესპუბლიკა, ორგანიზაცია ოფიციალურად დაიშალა 1991 წლის 25 თებერვალს.

სსრკ დაიშალა 1991 წელს. დასრულდა „ცივი ომის“ პერიოდი.

გმადლობთ ყურადღებისთვის